საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება №6/35

ქ.თბილისი

"12" ივლისი 2017 წ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11^1, 36^2 და 36^3 მუხლების, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონის 13^1 მუხლის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 27 ოქტომბრის N708/22 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხის, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2015 წლის 05 ნოემბრის N77/სა ბრძანების, ასევე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში საკონკურსო–საატესტაციო კომისიის შექმნის შესახებ კომისიის თავმჯდომარის 2015 წლის 21 დეკემბრის N6/31 ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის შემდეგი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად:
ა) ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ბაზრის ანალიზის მთავარი სპეციალისტი - 1 პოზიცია.
2. დაევალოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიას:
ა) გამოცხადებული ვაკანტური თანამდებობისათვის საკონკურსო პირობები განსაზღვროს კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 12 დეკემბრის №6/28 ბრძანებით დამტკიცებული სამუშაოთა აღწერილობების (ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩათვლით) გათვალისწინებით;
ბ) უზრუნველყოს კონკურსის ჩატარების პირობების, ეტაპების, შეფასების ფორმისა და გრაფიკის შემუშავება და დამტკიცება;
გ) უზრუნველყოს კონკურსის გამოცხადება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე www.hr.gov.ge და სხვა ვებ-გვერდებზე;
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;
5. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე განხორციელდება პირადად.

კომისიის თავმჯდომარე კ. ბექაური